საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №35
2025 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

„წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს**:

მუხლი 1

„წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს №21 დადგენილების (ვებგვერდი, 21.08.2017, სარეგისტრაციო კოდი: 300320000.16.009.016222) პირველი პუნქტით დამტკიცებული „წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №1):

ა) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი შესაბამისი (t+i) სატარიფო წლისთვის დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$TVCORR_{t+i} = \frac{TVCORR_t}{n} * \prod_{j=0}^{i-1}\left(1 + r_{d(t+j)}\right) \quad (16),$$

სადაც:

i	–	სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში (1≤i≤n);
$TVCORR_{t+i}$	–	დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$TVCORR_t$	–	დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით ტარიფის გაანგარიშების (t) წლისთვის (ლარი);
$r_{d(t+j)}$	–	დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული სესხის ღირებულების ტოლია (პროცენტი).“;

ბ) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით ტარიფის გაანგარიშების (t) წელს იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$TVCORR_t = \sum_{j=0}^{nOld-1}\left(CORR_{t-nOld+j} * \prod_{k=j}^{nOld-1}\left(1 + r_{d(t-nOld+k)}\right)\right)$$

(16 ^{1}),

სადაც:

nOld	–	სატარიფო წლების რაოდენობა მიმდინარე სატარიფო რეგულირების პერიოდში;
$TVCORR_t$	–	დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით ტარიფის გაანგარიშების (t) წლისთვის (ლარი);
$CORR_{t-nOld+j}$	–	კორექტირებას დაქვემდებარებული (t-nOld+j) სატარიფო წლის კორექტირება (ლარი);
$r_{d(t-nOld+k)}$	–	დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული სესხის ღირებულების ტოლია (პროცენტი).“;

გ) 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი შესაბამისი სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CORR = cCAPEX + corrOPEX + cCoW - cREV$$

(17),

სადაც:

CORR	–	კორექტირებას დაქვემდებარებული სატარიფო წლის კორექტირება (ლარი);
cCAPEX	–	შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ კაპიტალურ დანახარჯებს შორის სხვაობით (ლარი);
corrOPEX	–	შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებს შორის სხვაობით, კორექტირებას დაქვემდებარებულ ფაქტობრივ და დაგეგმილ კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებს შორის სხვაობით და ასევე

		ფაქტობრივ და დაგეგმილ ინფლაციის მაჩვენებლებს შორის სხვაობით (ლარი);
cRev	–	შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული სატარიფო წლის მიწოდებული სასმელი წყლის და წყალარინების სისტემაში ჩაშვებული წყლის ფაქტობრივ და დაგეგმილ მოცულობებს შორის სხვაობით (ლარი);
cCoW	–	შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული სატარიფო წლის წყალმომარაგების სისტემაში წყლის მიღებასთან, სასმელი წყლის წარმოებასა და მის მიწოდებასთან დაკავშირებული ცვლადი დანახარჯების ფაქტობრივ და დაგეგმილ ოდენობებს შორის სხვაობით (ლარი).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**